ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

სამუშაო ჯგუფებისგაფართოებული შეხვედრა

თარიღი: 16 იანვარი, 2019 წელი

დრო: 12:00 -19:00

შეხვედრის ადგილი: საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ალექსანდრა კალატოზიშვილი - ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“
4. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
5. ეკა გეგეშიძე - ჟუნიორ ეჩივმენტი საქართველო
6. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
7. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
8. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
9. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
10. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
11. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
12. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
13. ნიკოლოზ ლეგაშვილი - კონსტიტუციის „42 მუხლი“
14. ოთარ კვაჭაძე - ცენტრი „ემპათია“
15. ალეკო ცქიტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი
16. ლევან ალაფიშვილი - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
17. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
18. მაია მორგოშია - ჟურნალისტური კვლევის ცენტრი
19. ელენე ფილეევა - კონსტიტუციაა 42 მუხლი
20. მარი ალუღიშვილი - პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი
21. დავით შატაკიშვილი - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი

22. წოვინარ ნაზაროვა - ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
23. ნატა ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
24. სალომე კაპანაძე - „აფხაზეთი - ჩემი სახლი“
25. ნანა თოდუა - ასოციაცია “მერკური“
26. სალომე შუბითიძე - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
27. მარიამ რომელაშვილი - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
28. გიორგი თევზაძე - ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
29. ირმა ბასილაშვილი - სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინსტიტუტი
30. ლორიანა ავეტისიანი - ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია „ახლებური ხედვა“
31. ია თიკანაძე - ფრიდრიხ ებერტის ფონდი
32. სიმონ გურეშიძე - ჯეფერსონის ცენტრი
33. ამირან გელაშვილი - საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო
34. ეთო გვსიტიშვილი - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
35. გიორგი ჭილაძე - საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ანალიტიკის ასოციაცია
36. მალხაზ გაგუა - საქართველოს პრესის ასოციაცია
37. ლელა გოგიჩაიშვილი - სამოქალაქო განათლების და განვითარების ცენტრი
38. კოტე ერისთავი - ადამიანის უფლებების სწავლებისა დამონიტორინგის ცენტრი
39. ალუ გამახარია - ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“
40. მარიამ ოზაშვილი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
41. ანა ციცაგი - კუალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის
42. ხატია ქარდავა - ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
43. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია „ევროპული კვლევები საქართველოს განვითარებისთვის“
44. ლაშა მკურნალიძე - ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“
45. ნანუკა კეზევაძე - საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის
46. ლელა ბერძული - ევროპის ფონდი
47. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
48. მამუკა ყუფარაძე - სტუდია რე
49. ნატო არღვლიანი - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
50. ირმა კაკიაშვილი - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - “დედამიწის მეგობრები“
51. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
52. გია აბრამია - კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
53. ირინე სვანიძე - მწვანე ალტერნატივა
54. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - “დედამიწის მეგობრები“

განსახილველი საკითხები:

- ✓ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ გამოცხადებული რეგრანტინგი

- ✓ მთავრობასთან ერთობლივი მაღალი დონის კონფერენციასთან დაკავშირებული საკითხები
- ✓ სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესები

მომხსენებლები:
ნაზი ჯანეზაშვილი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ანა დოლიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფების გაფართოებული შეხვედრა გახსნა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია კუპრაშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსაზღვრა შეხვედრის მიმდინარეობა.

პირველ საკითხად, პლატფორმის თავმჯდომარემ და ასევე პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, მანანა ბიწაძე-მიქელაძემ, ისაუბრეს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ გამოცხადებულ რეგრანტინგზე. დამსწრეებს კიდევ ერთხელ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ რეგრანტინგის პროცესში ჩამოყალიბებულია ახალი მიდგომები. ცვლილების მიხედვით, 2019 წლიდანეროვნული პლატფორმების, მათ შორის საქართველოს ეროვნული პლატფორმის დაფინანსება მოხდება ფორუმის ცენტრალური ბიუჯეტიდან, წლიური 50000 ევროს ოდენობით. დაფინანსება გაიყოფა 2 ნაწილად, საიდანაც ერთი ნაწილი (30000 ევრო) მოხმარდება სამდივნოს ფუნქციონირებას, ხოლო მეორე (20000 ევრო) - პლატფორმის წევრი ორგანიზაციებისმიერ ორგანიზებულაქტივობებს.

სამდვინოს ადმინისტრირების კომპონენტის მიმღები ორგანიზაცია ვლინდება ეროვნული პლატფორმის მიერ, მისი წევრების ჩართულობით.სამდივნო-ორგანიზაციის არჩევის შემდეგ, ამ ორგანიზაციისა და საკოორდანაციო საბჭოს მიერ გამოცხადდება კონკურსიდა შეიქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას აქტივობებისთვის განკუთვნილი გრანტის კომპონენტის გაცემის თაობაზე. კონკურსის თემატური პრიორიტეტები განისაზღვრება სამუშაო ჯგუფებთან კონსულტაციის საფუძველზე.

რეგრანტინგის კონკურსში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა პლატფორმის ორმა წევრმა ორგანიზაციამ. ერთმა მათგანმაწერილობითი შეტყობინების სახით უკან გაიწვია თავისი წინადადება და მოხსნა საკუთარი კანდიდატურა აღნიშნული კონკურსიდან. შესაბამისად, პლატფორმის რეგრანტინგის პროექტზე მხოლოდ ერთი ორგანიზაციის, „ლიბერალური აკადემია - თბილისი“-ს კანდიდატურა განიხილებოდა.

ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2018 წ. 6 თებერვლის მიღებული გადაწყვეტილებით, დადგინდა 4 ძირითადი კრიტერიუმი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამდივნოს მართვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია. შესაბამისად, კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის დირექტორმა, ლაშა ტუღუშმა, დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა არგუმენტირებულად დასაბუთებული დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ზემოთ აღნიშნული ოთხი კრიტერიუმის შესაბამისად. ასევე ბატონმა ლაშა ტუღუშმა ისაუბრა პლატფორმის განვითარებისა და მუშაობის პრიორიტეტებზე.ბატონი ლაშა ტუღუშის მიერ

წარმოდგენილი ხედვის მიხედვით, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა პოლიტიკის შემუშავების პროცესში მონაწილეობა და პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება ქვეყანაში მიმდინარე აქტუალური პროცესების შესაბამისად; რეგიონალურ დონეზე პლატფორმის საქმიანობის გაძლიერება; მაღალი დონის კონფერენციის ორგანიზება;პლატფორმის წევრების შესაძლებლობების გაძლიერებაზე ორიენტირებული აქტივობების ორგანიზება; ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების რეალიზების მონიტორინგი; საქართველოს მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის 2020 წლისთვის 20 ამოცანის შესრულების მონიტორინგი; ევროპული ინტეგრაციის პოპულარიზაცია და გაძლიერება, მათ შორის რეგიონალურ დონეზე და მოწყვლადი ჯგუფების მოცვით; საინფორმაციო კამპანიების წარმოება და სხვ.

სამდივნოს ნაწილში კი განცხადებლის მიერ წარმოდგენილი ხედვა ითვალისწინებს პლატფორმის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელ კომპონენტებს, მათ შორის შეხვედრების ადმინისტრაციულ და ლოჯისტიკურ უზრუნველყოფას, პლატფორმაში მიმდინარე სამუშაოს კოორდინაციას, წევრ-ორგანიზაციებსა და მესამე მხარეებთან კომუნიკაციის წარმოებას, პლატფრომის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ტექნიკურ მხარდაჭერას, პლატფორმის ხილვადობის გაზრდისა და საქმიანობის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ზომების მიღებას და ა.შ.

პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინტორმა, მანანა ბიწაძე-მიქელაემ, შეხვედრაზე წარმოდგენილ ორგანიზაციებს სთხოვა დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება სამდივნო-ორგანიზაციის კანდიდატურასთან და მის მიერ წარმოდგენილ ხედვასთან დაკავშირებით. ჯგუფების გაფართოებულ შეხვედრაზე წარმოდგენილმა ორგანიაციებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი „ლიბერალური აკადემია - თბილის“-ს.

მეორე საკითხად, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია კუპრაშვილმა და ეროვნულმა კოორდინატორმა, ლაშა ტუღუშმა, ჯგუფებს მიაწოდეს ინფორმაცია მთავრობასთან ყოველწიური მაღალი დონის კონფერენციის ჩატარებისა და ორგანიზების შესახებ. მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ მაღალი დონის კონფერენციის დაფინანსება მოხდება ადენაურერის პროექტის ფარგლებში. კონფერენციის ჩატარების სავარაუდო პერიოდად განსაზღვრულია თებერვლის მეორე ნახევარი. მაღალი დონის კონფერენციაზე ძირითადი თემა იქნება რეგიონალური საკითხების განხილვა. ბატონმა ლაშა ტუღუშმა დეტალურად ისაუბრა ღონისძიების სტრუქტურაზე. მაღალი დონის კონფერენციაზე დაგეგმილია პარალელური სესიების გამართვა თემატური ჯგუფების მიხედვით. პარალელურ სესიებში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, ისე მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ კონკრეტული მიმართულებით. აღნიშნულ ღონისძიებაზე წარმოდგენილი უნდა იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადეობის ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეგიონალური წარმომადგელები.დამსწრეთა მხრიდან გამოითქვა წინადადება, რომ კონფერენციის საკითხებზე მსჯელობა გაიმართოს სამუშაო ჯგუფებში, რაც პლატფორმის წამრომადგენელ მომხსენებლებს საშუალებას მისცემს, თავიანთ გამოსვლებში გაითვალისწინონ ჯგუფის წევრთა მოსაზრებები.

მესამე საკითხად, პირველი ჯგუფის კოორდინატორმა, ლაშა ტუღუშმა, ისაუბრა სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესეზე, და იმ პრობლემებზე, რომლებსაც სასწრაფოდ სჭირდება

მოგვარება. აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ მოწვეულები იყვნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები: ანა დოლიძე და ნაზი ჯანეზაშვილი. შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატურების შერჩევის საკითხს. ნაზი ჯანეზაშვილმა და ანა დოლიძემ პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართეს, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პრინციპს ითვალისწინებს. არამოსამართლე წევრების მიერ შეთავაზებული წინადადება ხუთ ძირითად პრინციპს ეფუძნება, ესენია: საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატურების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადება; ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება; გასაუბრების ღიად ჩატარება; გადაწყვეტილების კონსენსუსით მიღება.

შეხვედრაზე მყოფი პლატფორმის წევრი ორგანიზაციები სრულ მხარდაჭერას უცხადებენ იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრებს და სამომავლო თანამშრომლობის ფორმატის არსებობის აუცილებლობაზე საუბრობენ.

ოთხსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე